სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 26

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2021 წელი

ერთი მხრივ, **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** (ს/კ 249250484) (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი აპარატის უფროსის **ზურაბ მეგონიას** სახით და მეორე მხრივ, **შპს „ედესი ჯგუფი"** (ს/კ 203868635) (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ შარიქაძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში "ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის საგანს წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **CPV კოდი 42968000 „დისპენსერები"-ს** , **CPV კოდი 33764000 – "ქაღალდის ხელსახოცები"-ს, CPV კოდი 33761000 – „ტუალეტის ქაღალდი"-ს, CPV კოდი 39224340 - „სანაგვე ყუთები"-სა** და **CPV კოდი 31440000 - „ელემენტები"-ს** შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **231.14** ***(ორას ოცდათერთმეტი ლარი და 14 თეთრი)*** **ლარს.**

2.2 შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი, რაოდენობა და მახასითებლები მითითებულია დანართ N1-ში.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და შესაბამისი ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტების გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. N157.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2021 წლის 15 თებერვლამდე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნისამებრ განახორციელოს საქონლის მიწოდება. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართო თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სსსკ-ის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს „ედესი ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას N16	მის: ქ.თბილისი, ზელიაშვილის ქ. N157
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 203868635
სახელმწიფო ხაზინა	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი:TBCBGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ა/ა # GE02TB7565136020100001
ტელ: 2376467	ტელ: 2 22 13 33
აპარატის უფროსი	დირექტორი
ზურაბ მებონია	თამაზ შარიქაძე

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2021.02.10 14:57:46 +04'00'

Ltd Edesi Group

Digitally signed by Ltd Edesi Group
Date: 2021.02.10 16:05:14 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 26

დანართი N1

№	CPV კოდი	დასახელება	მახასიათებელი	საზომი ერთ.	რ-ბა	ერთ. ფასი	ღირ-ბა
1	42968000	დისპენსერები	დისპენსერი მინი ჯუმბო Vialli თეთრი	ცალი	4	21.78	87.12
2	33764000	ქაღალდის ხელსახოცები	ხელსახოცი ლაზერის 21 სმ რულონი 0.6 კგ/1ც	ცალი	6	5.75	34.50
3	33764000	ქაღალდის ხელსახოცები	ხელსახოცი დისპენსერის Z ფურცლებად 150ც 1*12	ცალი	12	1.97	23.64
4	33761000	ტუალეტის ქაღალდი	ქაღალდი ტუალეტის ჯუმბო (Jumbo K80) კომფორტი	ცალი	12	2.15	25.80
5	39224340	სანაგვე ყუთები	ურნა მეტალის დიდი 29.5*24*24.8 HN5001	ცალი	4	7.82	31.28
6	31440000	ელემენტები	ელემენტები D GP GP13A-2UE2 (3848) 2 ც	შეკვრა	2	7.25	14.50
7	31440000	ელემენტები	ელემენტები D GP GP13AUP-2UE2 (05758) 2 ც	შეკვრა	2	7.15	14.30
						სულ:	**231.14 ლარი**

შემსყიდველი:

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. #16
ს/კ 249250484
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ტელ: 2376467

აპარატის უფროსი
ზურაბ მებონია

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2021.02.10 14:58:12 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „ედესი ჯგუფი“
მის: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. N157
ს/კ 203868635
სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა # GE02TB7565136020100001
ტელ: 2 22 13 33

დირექტორი
თამაზ შარიქაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 10 თებერვალი 2021 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ დისპენსერების, ქაღალდის ხელსახოცების, ტუალეტის ქაღალდის, სანაგვე ყუთებისა და ელემენტების შესყიდვაში შპს „ედესი ჯგუფი“-ს (ს/კ 2203868635) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს

აპარატის უფროსი

THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

Digitally signed by THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA
Date: 2021.02.10 14:58:32 +04'00'

ზურაბ მებონია